| პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი | სავალდებულო | 6 | | 6 | | | 26 | 16 | 2 | 2 | 46 | 104 | 150 | 3 |
| **არჩევითი სასწავლო კურსები** | **არჩევითი** | **10** | | 5/ | 5/<br>66 | | | | | | | | | |
| ნეირო მარკეტინგი | არჩევითი | 6 | | | * | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 | 2 |
| კონკურენცია და მარეგულირებელი სამართალი | არჩევითი | 5 | | 5 | | | **14** | **14** | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| ელექტრონული ბიზნესი | არჩევითი | 6 | | 6 | | | **16** | **12** | 2 | 2 | 32 | 118 | 150 | 2 |
| | | | | | | | | | | | | | | |
| საზოგადოებრივი ურთიერთობების ქეისები და ანალიზი | არჩევითი | 5 | | * | | | 12 | 16 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| ჰოლისტიკური მარკეტინგი | არჩევითი | 6 | | 6 | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 | 2 |
| ბრენდინგის მეთოდები და ანალიზი | არჩევითი | 5 | | | 5 | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| ფასწარმოქმნის პოლიტიკა და ტაქტიკა | არჩევითი | 6 | | | 6 | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 | 2 |
| ბიზნეს სიმულაციები და ანალიზი | არჩევითი | 6 | | | * | | 12 | 16 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამგანზომილებიანი დიზაინი და პროდუქტის დეველოპმენტი | არჩევითი | 5 | | | * | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| პრაქტიკა | არჩევითი | 10 | | | 10 | | | | | | | | 250 | 8 |
| **კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი** | **სავალდებულო** | **30** | | | | **30** | **30** | | | **2** | **32** | **718** | **750** | |
| **სულ** | | **122** | | | | | | | | | | | | |

# კომპიუტერული მეცნიერებები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **კომპიუტერული მეცნიერება** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი /Master of Computer Science |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 120 ECTS |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).<br>სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს |

| | |
|---|---|
| | შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე). მისაღები გამოცდების საკითხები და შეფასების სისტემა წინასწარ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სამაგისტრო სწავლების დებულებაში. გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად.<br>უცხო ქვეყნის მოქალაქეები პროგრამაზე ირიცხებიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია ვებ გვერდზე: https://iro.ibsu.edu.ge/en/home |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** | კომპიუტერულ მეცნიერებაში სამაგისტრო პროგრამის მიზანია<br>(1) კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრანტს შესთავაზოს სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული სწავლება, რომლის საშუალებითაც სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას კომპიუტერული მეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტს ღრმად შეასწავლოს კურსები კომპიუტერული მეცნიერების სამი მიმართულებიდან: თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, სისტემების დიზაინი და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი.<br>(2) კომპიუტერული მეცნიერების დარგში მაგისტრანტის ინდუსტრიისთვის საჭირო ცოდნის გაღრმავება; რაც ნიშნავს, მაგისტრანტი დაამოსტატოს ინდუსტრიისთვის სპეციფიკური ამოცანების ფორმულირებაში, ანალიზში, გადაჭრაში და რეალიზაციაში. ასევე, მაგისტრანტს გაუღრმავოს ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებისთვის, ძიებისთვის და დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.<br>(3) მოამზადოს მაგისტრანტები აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად კომპიუტერული მეცნიერების, კომპიუტერული ინჟინერიის, საინფორმაციო მეცნიერებების, ხელოვნური ინტელექტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობებით. |

| | |
|---|---|
| **სწავლის შედეგები** | კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი შემდეგი კომპეტენციები:<br>1. სიღრმისეულად და კრიტიკულად განიხილავს ალგორითმების და მოდელირების თეორიის, პროგრამული ენებისა და სისტემების იმპლემენტაციის, მონაცემების მოპოვების, დაცვისა და დამუშავების საკითხებს.<br>2. განსაზღვრავს კომპიუტერული მეცნიერების გამოყენების შესაძლებლობებს პრაქტიკული და თეორიული ამოცანების გადასაწყვეტად. დეტალურად აღწერს ინდუსტრიისთვის საჭირო კომპიუტერულ სისტემებს. აყალიბებს პრობლემის მოდელირებისა და გადაჭრის გზებს.<br>3. ახდენს კვლევის მეთოდების კლასიფიცირებას, განიხილავს კომპიუტერული მეცნიერების სფეროს შესაბამის ტექნიკურ ლიტერატურას, რეპორტის მომზადების, სამაგისტრო ნაშრომის წერის და მოხსენების გაკეთების საშუალებებს.<br>4. კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით წარმართავს კოლაბორაციულ კვლევას, ქმნის და იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას კომპიუტერული მეცნიერების სფეროს შესაბამისი ამოცანის გადასაჭრელად, პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნების და სტანდარტების დაცვით.<br>5. შეიმუშავებს უსაფრთხო კომპიუტერულ სისტემებს და ქსელზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებს სხვადასხვა დარგისთვის, ტექნიკური ცოდნის და უნარების, ინფორმაციული ტექნოლოგიების კვლევისა და დაპროექტების მეთოდების გამოყენებით.<br>6. კომპლექსური პრობლემების გადაჭრისთვის შეიმუშავებს ახალ მიდგომებს, ქმნის მათემატიკურ მოდელებს, ახდენს ალგორითმულ წარმოდგენას, ანალიზს და იმპლემენტაციას.<br>7. ყოფს კომპლექსურ პრობლემებს ქვეპრობლემებად, თითოეული ქვეპრობლემისთვის ეძებს შესაფერის პროგრამირების პარადიგმას და ახდენს მის რეალიზებას.<br>8. აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით იძიებს კვლევისთვის საჭირო, კომპიუტერული მეცნიერების სფეროს შესაბამის ინფორმაციას და ამზადებს რეპორტს/სტატიას/ სამაგისტრო ნაშრომს, |

| | |
|---|---|
| | მცირე ზომის საპროექტო წინადადებას. წარადგენს მიღებული კვლევის შედეგებს, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოების წინაშე.<br>9. მულტიდისციპლინარულ გარემოში წყვეტს კომპიუტერულ მეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებებზე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>1) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;<br>2) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;<br>3) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;<br>4) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;<br>5) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>1) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>2) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. |

| | |
|---|---|
| | კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br>კვლევითი კომპონენტის შეფასება: კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება: შეფასებისთვის გამოიყენება ზემოთ მოყვანილი შეფასების სისტემა. სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. |
| **დასაქმების სფერო** | კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს საერთაშორისო დონის შესაბამის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულს შეძენილი ცოდნა და უნარები საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც პრაქტიკულად შეასრულებს ძირითად ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კერძოდ, შეძლებს იმუშაოს პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელად, მონაცემთა ანალიტიკოსად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტად, ქსელების ადმინისტრატორად და ა.შ. კურსდამთავრებულს აგრეთვე შეუძლია |

| | |
|---|---|
| | სწავლა გააგრძელოს აკადემიური განათლების მომდევნო საფეხურზე კომპიუტერული მეცნიერებების, კომპიუტერული ინჟინერიის, საინფორმაციო მეცნიერებების, ხელოვნური ინტელექტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობებით. |

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | საათების განაწილება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | საკონტაქტო | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | ლექცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები |
| 1 | ლოგიკა კომპიუტერული მეცნიერებებისთვის და ხელოვნური ინტელექტისთვის | სავალდებულო | 7 | 7 | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |
| 2 | პროგრამირების ენების პრინციპები | სავალდებულო | 7 | 7 | | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |
| 3 | კომპიუტერული ქსელების დაპროექტება | სავალდებულო | 6 | 6 | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 4 | გამოთვლითი მოდელები | სავალდებულო | 8 | | 8 | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 168 | 200 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ალგორითმების გაძლიერებული კურსი | სავალდებულო | 8 | | 8 | | | 29 | 13 | 2 | 2 | 46 | 154 | 200 |
| 6 | ინფორმაციული უსაფრთხოება | სავალდებულო | **6** | | **6** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 7 | სამაგისტრო სემინარი 1 | სავალდებულო | **3** | | **3** | | | - | 28 | 2 | 2 | 32 | 43 | 75 |
| 8 | მონაცემთა მოპოვება და ანალიზი | სავალდებულო | **8** | | | **8** | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 168 | 200 |
| 9 | IoT-ის დაპროექტება | სავალდებულო | **7** | | | **7** | | 14 | 28 | 2 | 2 | 46 | 129 | 175 |
| 10 | ადამიანურ-მანქანური ინტერაქცია | სავალდებულო | 6 | | | 6 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 11 | სამაგისტრო სემინარი 2 | სავალდებულო | **3** | | | **3** | | - | 28 | 2 | 2 | 32 | 43 | 75 |
| 12 | სამაგისტრო ნაშრომი | სავალდებულო | **30** | | | | **30** | - | 28 | 1 | 1 | 30 | 720 | 750 |
| 13 | კომპიუტერული ალგებრა | არჩევითი | **5** | **5** | | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 14 | აპროქსიმაციის თეორია | არჩევითი | **5** | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 15 | რიცხვითი ანალიზი | არჩევითი | **5** | **5** | | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 16 | მოდელირება და სიმულაცია | არჩევითი | **5** | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 17 | დისტრიბუციული აპლიკაციების აგება და განვითარება | არჩევითი | **5** | **5** | | | | 18 | 10 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები | არჩევითი | **5** | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 19 | პროგრამული უზრუნველყოფის სისტემური ანალიზი | არჩევითი | **5** | | **5** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 20 | სემანტიკური ვებ ტექნოლოგიები | არჩევითი | **5** | | **5** | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 21 | ცოდნის წარმოდგენა და მსჯელობა | არჩევითი | **5** | | **5** | | | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 22 | პროგრამების ვერიფიკაცია | არჩევითი | **5** | | **5** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 23 | ექსპერტული სისტემები | არჩევითი | **5** | | **5** | | | 10 | 18 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 24 | ბაიესური და ალბათური პროგრამირება | არჩევითი | **5** | | **5** | | | 17 | 11 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 25 | ციფრული სიგნალების დამუშავება | არჩევითი | **5** | | **5** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 26 | გრაფების ალგორითმები და გამოთვლითი გეომეტრია | არჩევითი | **6** | | | **6** | | 22 | 6 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 27 | ნეირონული ქსელები | არჩევითი | **6** | | | **6** | | 17 | 11 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | ქსელის მოდელირება | არჩევითი | **6** | | | **6** | | 22 | 6 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 29 | ოპერაციათა კვლევა | არჩევითი | **6** | | | **6** | | 22 | 6 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 30 | ღრმა განმამტკიცებელი სწავლება | არჩევითი | **6** | | | **6** | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 31 | პრაქტიკა | არჩევითი | **6** | | | **6** | | - | 84 | 2 | 2 | 88 | 62 | 150 |
| სულ | | | 120 | 30 | 30 | 30 | 30 | | | | | | | |

# მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ორმაგი ხარისხი)** | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU): **მეცნიერების მაგისტრი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში“ (Master of Science in IT Management);** |
| | ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (WHZ): **მეცნიერებათა მაგისტრი „მენეჯმენტსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ (Master of Science in Management and Information Technologies),** რომელიც იშლება 5 პროფილად (ეს პროფილები რეგულირდება არჩევითი საგნებით ყველა 4 სემესტრის განმავლობაში) |

| | |
|---|---|
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 120 კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების ორმაგი დიპლომის სამაგისტრო პროგრამაზე მიღება კონტროლირდება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული შეთანხმებით და მის შესაბამისად უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:<br><br>კანდიდატს უნდა გააჩნდეს პირველი საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების ხარისხი მენეჯმენტის, კომპიუტერული მეცნიერების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირების, საერთაშორისო ურთიერთობების, ენათმეცნიერების ან მათთან დაკავშირებულ დარგებში.<br>კანდიდატმა წარმატებით უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისურ ენაში B2 დონის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა;<br>კანდიდატმა წარმატებით უნდა გაიაროს გასაუბრება, რომლის დროსაც მოწმდება აპლიკანტის მოტივაცია, კომპეტენციის არსებობა პროგრამის სწავლების ენაში (ინგლისური ენა არანაკლებ B2 დონე) და ბიზნესის ადმინისტრირებასთან და კომპიუტერულ მეცნიერებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების კარგი საბაზისო ცოდნა.<br>შენიშვნა: გასაუბრება ჩატარდება ონლაინ რეჟიმში კომისიის წევრებთან, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებიან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტებიდან, ასევე 2 გარე დარგის ექსპერტი კომპიუტერული მეცნიერების, მენეჯმენტისა ან/და ბიზნეს ადმინისტრირების სფეროდან. გასაუბრების საკითხები შეეხება პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების შესწავლისთვის საჭირო წინარე ცოდნის არსებობის შემოწმებას და მოიცავს კომპიუტერულ მეცნიერებას, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, მენეჯმენტს, ბიზნესის ადმინისტრირებას და მათთან დაკავშირებულ თემებს. |

| | |
|---|---|
| | განმცხადებლები, რომლებსაც აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი თავისუფლდებიან ენის გამოცდის ჩაბარებისაგან;<br>ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი თუ მას დამთავრებული აქვს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;<br>თანაბარი ქულების შემთხვევაში, კონკურსის პირობებში მხედველობაში მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის GPA და სამოტივაციო წერილი; |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** | საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ორმაგი დიპლომის სამაგისტრო პროგრამა „მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები" მომავალ მაგისტრებს სთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობებს. საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა საერთაშორისო პარტნიორობის შედეგად ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (გერმანია) და 4 პარტნიორ უნივერსიტეტთან აზიის და სამხრეთ კავკასის ქვეყნებიდან. პარტნიორი უნივერსიტეტებია: შავი ზღვის საერთაშოსორისო უნივერსიტეტი (IBSU), ყაზახურ-ამერიკული თავისუფალი უნივერსიტეტი (KAFU), სომხეთის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი (ASUE), ყირგიზულ-გერმანული გამოყენებითი ინფორმატიკის ინსტიტუტი (INAI.KG).<br>აღნიშნული სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს:<br><br>1. მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნეს საინფორმაციო სისტემების და კომპიუტერული მეცნიერების დისციპლინებში არსებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებასა და შევსებას;<br>2. სტუდენტების მეთოდოლოგიური კომპეტენციის გაძლიერებას, რათა შეუქმნას მყარი საფუძველი მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის;<br>3. შეძენილი საგნობრივი ცოდნის საფუძველზე რთული პრობლემების გააანალიზების და შეფასების უნარების გაძლიერებას და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას;<br>4. სასწავლო პროგრამა აძლიერებს სტუდენტების ინტერდისციპლინურ აზროვნებისა და გლობალურ ინტერკულტურულ სტრუქტურებში მუშაობის უნარს. შესაბამისად, პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სოციალური, ენობრივი და ინტერკულტურული უნარების განვითარება;<br>5. გაზარდოს წამყვანი სპეციალისტები/მაგისტრანტები აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად კომპიუტერული მეცნიერების, ბიზნესის მართვის, ბიზნეს პროცესების ანალიტიკოსის, IT პროექტების მენეჯმენტის, დიდ მონაცემთა ანალიტიკოსის ან/და მომიჯნავე მიმართულებებში. |

| | |
|---|---|
| | 6. სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებდეს იმ მეთოდებსა და ცოდნას, რომლებიც კურსდამთავრებულს შესძენს შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის, განსაკუთრებით კი საერთაშორისო კონტექსტში ოპერირების უნარებს. |
| **სწავლის შედეგები** | "მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები" სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი და კონკურენტუნარიანი კომპეტენციები.<br><br>აღნიშნული ორმაგი დიპლომის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე, სადაც დამატებით დიდი ყურადრება ეთმობა სამეცნიერო/კვლევით თემებს და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობას. პროგრამა შექმნილია ბიზნესის მენეჯმენტსა და კომპიუტერული მეცნიერებაში ეროვნული და საერთაშორისო საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>პირველ სამ სემესტრში, თითოეული სემესტრი სთავაზობს სამ მიმართულებას:<br><br>1. ბიზნესის მართვის ძირითადი დისციპლინები,<br>2. ბიზნესი და საინფორმაციო სისტემები,<br>3. კომპიუტერული მეცნიერება.<br><br>- პირველი მიმართულების გავლით სტუდენტები გააუმჯობესებენ და გააფართოებენ არსებულ ცოდნას რისკების მენეჯმენტში, კონტროლის სისტემები მენეჯმენტში, ფინანსური მენეჯმენტი, განსაკუთრებით მწვანე ფინანსები და ციფრული ფინანსები, ინოვაციური-მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მეწარმეობის და სტარტაპებისმენეჯმენტი, ოპერაციები და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, და სტრატეგიული მენეჯმენტი.<br><br>- მეორე მიმართულება აყალიბებს საექსპერტო ცოდნას ბიზნეს საინფორმაციო სისტემების სფეროებში, ბიზნეს ანალიტიკა და ინტელექტი, ციფრული ბიზნეს მოდელირება და ცვლილებების |

| | |
|---|---|
| | მენეჯმენტი, ასევე ფოკუსირებულია ინტეგრაციულ კავშირზე პირველ და მესამე ქვაკუდხედებს შორის.<br><br>- მესამე მიმართულება ავითარებს მაღალხარისხიან უნარებს და პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს შემდეგ სფეროებში: ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპიუტერული მეცნიერება, დაპროგრამების ენები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, აპლიკაციების შემუშავება/განვითარება, რობოტოტექნიკა და მანქანური სწავლება.<br><br>პროგრამის პირველი სამი სემესტრის არჩევითი საგნები სტუდენტებს სთავაზობენ სპეციალიზაციის სამ განშტოებას:<br><br>- მენეჯმენტი;<br>- ბიზნესი და საინფორმაციო სისტემები;<br>- ინფორმაციული ტექნოლოგიები.<br><br>გარდა ამისა, ორმაგი დიპლომის პროგრამა შექმნილია კონსორციუმის ფარგლებში გერმანიის ქალაქ ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან და ოთხ პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად (აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან). ამრიგად, სტუდენტები შეიძენენ და გააფართოვებენ ინტერკულტურულ და ენობრივ უნარებს. ისინი ისწავლიან მულტიკულტურულ გარემოში მუშაობას და გაიღრმავებენ ცოდნას საერთაშორისო პროექტების მართვის სფეროში.<br>სტუდენტები გაივლიან ინტერდისციპლინურ მომზადებას, მენჯმენტის და საინფორმაციული ტეანოლოგიების დარგებიდან მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად დაკავშირების და გათვიცნობიერების გზით. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. |

| | |
|---|---|
| | სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>1) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;<br>2) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;<br>3) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;<br>4) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;<br>5) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>1) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>2) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. |

| | |
|---|---|
| | დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br>კვლევითი კომპონენტის შეფასება: კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება:<br>შეფასებისთვის გამოიყენება ზემოთ მოყვანილი შეფასების სისტემა. სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. |
| **დასაქმების სფერო** | ორმაგი დიპლომის პროგრამა საფუძვლიანად, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ამზადებს სტუდენტებს საერთაშორისო და რეგიონულ თუ ადგილობრივ ეკონომიკაში მომავალი გამოწვევებისთვის. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ აიღონ პასუხისმგებლობა ეკონომიკის განვითარებაზე გლობალურ და რეგიონულ/ლოკალურ ეკონომიკაში. დღეს სულ უფრო გლობალურ და ციფრულ სამყაროში, ეს პროგრამა კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს იმუშაონ მენეჯმენტისა და კომპიუტერული მეცნიერების სფეროებში, ისევე როგორც მათ გადაკვეთაზე. პროფესიული საქმიანობის კონკრეტული სფეროების მაგალითებია საშუალო და მაღალი რანგის მენეჯმენტი, კერძოდ, IT პროექტების მენეჯმენტი ან ცვლილებების მართვა ციფრულ ბიზნეს მოდელებზე ტრანსფორმაციისას, რეგიონალური და საერთაშორისო კომპანიები, პროექტების მართვა (IT), საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია, სტარტაპის დაფუძნება, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და ბიზნესის ანალიტიკა. |

| | |
|---|---|
| | პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს 2 დიპლომს – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან (IBSU-საქართველო) და ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან (WHZ-გერმანია). |

1-ლი სემესტრი -WHZ (ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი)

| I სემესტრი | კურსები | სწავლების ენა | კრედიტი | 1 აკადემიური საათი -45 წთ |
|---|---|---|---|---|
| | **მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები- სავალდებულო კურსები** | **ინგლისური** | **20** | |
| WIW34200 | გამოყენებითი პროგრამირების პროექტები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| WIW64000 | ბიზნესის ინფორმაციული სისტემები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| WIW32090 | რისკების მართვა და მართვის კონტროლი | **ინგლისური** | 5 | 4 |
| WIW03750 | ენის, კვლევისა და ინტერკულტურული უნარების ტრენინგი | **ინგლისური** | 5 | 4 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **არჩევითი კურსები - ზამთრის არჩევითი კურსები**<br>***არჩევითი კურსები - სულ 10 კრედიტი** | **ინგლისური** | **10** | |
| | **არჩევითი პროფილური კურსები - კომპიუტერული მეცნიერება** | **ინგლისური** | | |
| PTI90300 | სამეცნიერო კომუნიკაცია | **ინგლისური** | 5 | 2 |
| PTI90190 | კომპიუტერული მეცნიერების პროექტი | **ინგლისური** | 5 | 2 |
| PTI90180 | მანქანათშორისი კომუნიკაცია | **ინგლისური** | 5 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **არჩევითი პროფილური კურსები - ბიზნესი და ინფორმაციული სისტემები** | | | |
| WIW64010 | ციფრული ბიზნეს მოდელები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| WIW00390 | ცვლილების მართვა | **ინგლისური** | 5 | 1.5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **არჩევითი პროფილური კურსები - მენეჯმენტი** | | | |
| WIW31500 | მენეჯერული გამოწვევები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში | **ინგლისური** | 5 | 4 |
| WIW65540 | ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტი | **ინგლისური** | 5 | 2 |
| WIW08520 | კულტურათაშორისი თანამშრომლობის მართვა | **ინგლისური** | 5 | 4 |
| | **სულ** | | **30** | |

I სემესტრი- ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში

**II სემესტრი - IBSU შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

| II სემესტრი | მოდული | სწავლების ენა | კრედიტი | 1 აკადემიური საათი -45 წთ |
|---|---|---|---|---|
| | **მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები** | | **15** | |
| IBSU | WHZ - მანქანური სწავლება/ IBSU- კომპიუტერული მეცნიერების ლოგიკა და ხელოვნური ინტელექტი | **ინგლისური** | 5 | 4 |
| IBSU | მონაცემთა მოპოვება და ანალიზი | **ინგლისური** | 5 | 4 |
| IBSU | ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა | **ინგლისური** | 5 | 8 |
| | არჩევითი კურსები - გაზაფხულის სემესტრი<br>***არჩევითი კურსები სულ 15 კრედიტი** | | **15** | |
| | **არჩევითი პროფილური კურსები - ინფორმაციული ტექნოლოგიები** | **ინგლისური** | | |
| IBSU | გამოთვლითი მოდელები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| IBSU | ალგორითმების გაძლიერებული კურსი | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | რიცხვითი ანალიზი | **ინგლისური** | 5 | 3 |
| | **არჩევითი პროფილური კურსები - ბიზნესი და ინფორმაციული სისტემები** | | | |
| IBSU | ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | ადამიანურ-მანქანური ინტერაქცია | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | ღრმა სწავლება | **ინგლისური** | 5 | 3 |
| | **არჩევითი პროფილური კურსები - მენეჯმენტი** | | | |
| IBSU | ბიზნესის კვლევის მეთოდები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| IBSU | პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი | **ინგლისური** | 5 | 3 |
| | **სულ** | | **30** | |

## ორმაგი დიპლომი: მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები - I სემესტრი გერმანიაში, II სემესტრი არჩევით საზღვარგარეთ, III სემესტრი საზღვარგარეთ, IV სემესტრი - სამაგისტრო ნაშრომი

| III სემესტრი | მოდული | სწავლების ენა | კრედიტი | 1 აკადემიური საათი -45 წთ |
|---|---|---|---|---|
| | **მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები საზღვარგარეთ სწავლისას სავალდებულო კურსები** | | **15** | |
| IBSU | **WHZ - პროგრამული სისტემების დიზაინი და დანერგვა/IBSU - კომპიუტერული ალგებრა/განაწილებული პროგრამების შემუშავება** | **ინგლისური** | **5** | **4** |
| IBSU | **ციფრული ბიზნეს მოდელირება** | **ინგლისური** | **5** | **4** |
| IBSU | **სტრატეგიული მენეჯმენტი** | **ინგლისური** | **5** | **4** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | არჩევითი კურსები - გაზაფხულის სემესტრი<br>***არჩევითი კურსები სულ 15 კრედიტი** | | **15** | |
| | **არჩევითი პროფილური კურსები - ინფორმაციული ტექნოლოგიები** | **ინგლისური** | | |
| IBSU | გამოთვლითი მოდელები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| IBSU | ალგორითმების გაძლიერებული კურსი | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | რიცხვითი ანალიზი | **ინგლისური** | 5 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **არჩევითი პროფილური კურსები - ბიზნესი და ინფორმაციული სისტემები** | | | |
| IBSU | ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | ადამიანურ-მანქანური ინტერაქცია | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | ღრმა სწავლება | **ინგლისური** | 5 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **არჩევითი პროფილური კურსები - მენეჯმენტი** | | | |
| IBSU | ბიზნესის კვლევის მეთოდები | **ინგლისური** | 5 | 4 |
| IBSU | პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | ლიდერობის სტრატეგიები | **ინგლისური** | 5 | 3 |
| IBSU | საერთაშორისო ქოუჩინგის პროექტი | **ინგლისური** | 5 | 1 |
| | **სულ** | | **30** | |

ორმაგი დიპლომი: მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები - I სემესტრი გერმანიაში, II სემესტრი არჩევით საზღვარგარეთ, III სემესტრი საზღვარგარეთ, IV სემესტრი - სამაგისტრო ნაშრომი

| IV სემესტრი | მოდული | სწავლების ენა | კრედიტები | 1 აკადემიური საათი -45 წთ |
|---|---|---|---|---|
| IBSU | სამაგისტრო ნაშრომი | E | 25 | |
| IBSU | Titan Talks | E | 5 | 2 |
| | **სულ** | | **30** | |

| | |
|---|---|
| **კრედიტების რაოდენობის ჯამი:** | **120** |

# საერთაშორისო ურთიერთობები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **საერთაშორისო ურთიერთობები** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი / Master of International Relations |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 120 ECTS |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური ენა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე https://iro.ibsu.edu.ge/en/home<br>სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).<br>ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, კერძოდ CEFR, TOEFL iBT, IELTS, YDS, Cambridge. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში.<br>გამოცდები ინგლისურ ენასა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად. |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც დარგში წარმატებული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამას აქვს სამი ამოცანა:<br>1. მისცეს სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული ევოლუციისა და თეორიის ღრმა და სისტემური ცოდნა; დარგის საკვანძო საკითხების, თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების კრიტიკული გააზრების უნარი;<br>2. დარგის ამომწურავი, არსებითი და პრაქტიკული ცოდნის გადაცემის საფუძველზე, განუვითაროს სტუდენტებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები, რათა შეძლონ ორიგინალური იდეების გენერირება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა მულტიდიციპლინარულ გარემოში;<br>3. განუვითაროს სტუდენტს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა დარგის უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ინოვაციური ტექნიკების გამოყენებით, კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით.<br>საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ მიზანს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. |
| **სწავლის შედეგები** | საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და გაცნობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:<br>1. განიხილავს თანამედროვე სამეცნიერო დისკურსს დარგის ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით; შეუძლია ფილოსოფიური პარადიგმებისა და კონცეპტების საკუთარ კვლევით პროექტში გამოყენება; |

| | |
|---|---|
| | 2. კრიტიკულად იაზრებს, განმარტავს და განასხვავებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის როგორც კლასიკურ სკოლებს, ასევე თანამედროვე ტენდენციებსა და პარადიგმებს; ახდენს თეორიული სკოლების კლასიფიცირებას და შეფასებას როგორც სამეცნიერო დისკურსში პოზიციონირების (ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით გამოკვეთილი პოზიციების თვალსაზრისით), ასევე, თეორიების მიერ არგუმენტირებული აქტორების ქცევის დეტერმინანტების თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობებში; შეუძლია შექმნას თეორიული ჩარჩო საკუთარი კვლევითი პროექტისთვის და მოახდინოს ემპირიული მონაცემების ინტერპრეტირება შესამაბისი თეორიული არგუმენტების საშუალებით;<br>3. კრიტიკულად იაზრებს საკვანძო მოვლენებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და ახდენს მათ კონტექსტუალიზაციას; განსაზღვრავს და განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს;<br>4. განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს; ავლენს დარგის ამომწურავ, არსებით და პრაქტიკულ ცოდნას (comprehensive, substantive and practical knowledge) საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების, თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების შეფასებისას;<br>5. სხნის ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, აანალიზებს სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს; განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს; თეორიულ და პრაქტიკულ (შემთხვევის ანალიზის) დონეზე განასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს; იკვლევს ომთან დაკავშირებული საკითხების ნორმატიულ წინააღმდეგობებს;<br>6. განსაზღვრავს და კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში დაწინაურებულ უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს, შეუძლია აკადემიური და ეთიკის სტანდარტების დაცვით, დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა აღნიშნული მეთოდებისა და |

| | |
|---|---|
| | მიდგომების გამოყენებით; განსაზღვრავს საკუთარი კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოსა და მეთოდოლოგიას; თავისუფლად იყენებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, ფლობს რა მათი შერჩევის სტრატეგიებსა და მონაცემთა ანალიზის ტექნიკებს; შეუძლია სათანადო თეორიული პერსპექტივიდან, კრიტიკულად გაანალიზოს თეორიული და ემპირიული მონაცემები, მოახდინოს მათი ინოვაციური სინთეზი და შეფასება და ჩამოაყალიბოს დასკვნები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით; შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს კვლევითი ნაშრომის ხარისხი ავტორის ფილოსოფიური პოზიციისა და ნაშრომში გამოყენებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით;<br>7. შეუძლია აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, იქონიოს პროფესიული კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებთან და პრაქტიკოსებთან, წარმოადგინოს კომპლექსური ინფორმაციის ორიგინალურ ანალიზს დაფუძნებული დასკვნები და მოსაზრებები დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების დროს; მოამზადოს და წარადგინოს კვლევითი პროექტი;<br>8. აანალიზებს მორალურ დილემებს, რომელსაც სოციალური მეცნიერებების მკვლევარი აწყდება საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს, ასევე, ეთიკური საკითხებისა და ზოგადად, ეთიკური კვლევების მნიშვნელობას და აყალიბებს საკუთარ ფასეულობებს დარგის თანამედროვე ნორმებისა და სტანდარტების ცოდნის საფუძველზე; |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; |

| | |
|---|---|
| | დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br>კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა ზემოთ მოცემულის ანალოგიურია, გარდა შემდეგი შემთხვევისა: სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, მას უფლება ეძლევა გადამუშავებული |

| | |
|---|---|
| | სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.<br>კვლევითი კომპონენტის შეფასების ასევე, კონკრეტული კომპონენტები და კრტერიუმები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. |
| **დასაქმების სფერო** | საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშავონ საგარეო საქმეთა სამინისტროში; იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო, სხვადასხვა სამინისტროების საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტები; არასამთავრობო როგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კვლევით ცენტრებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.<br>ამასთან, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ, განაგრძონ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე საკუთარი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. |

# ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი (Master of American Studies) |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 120 კრედიტი |

| | |
|---|---|
| სწავლების ენა: | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | განმცხადებელი უფლებამოსილია ჩაირიცხოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისა და უნივერსიტეტის გამოცდ(ებ)ის ჩაბარების გზით (უცხო ენა & სპეციალობა).<br>დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში ან/და დანართი1.1-ში<br>პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე https://iro.ibsu.edu.ge/en/home |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა გაგრძელებაა მულტიდისციპლინარული და ამავდროულად ინტერდისციპლინარული, საქართველოში ერთადერთი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის, რომელიც პირველად გაიხსნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით. ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სპეციფიკურობამ და უნიკალურობამ, რაც გულისხმობს ისეთი მრავალფეროვანი საგნების შესწავლას, როგორებიცაა: ამერიკის ისტორია, ამერიკის ლიტერატურა, ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის გეოგრაფია, ამერიკელ ქალთა ისტორია, ამერიკული მედია, ამერიკის პოლიტიკა და სხვა. აგრეთვე სტუდენტების მიერ გამოხატულმა დიდმა ინტერესმა ამერიკის ისტორიის და მისი საგარეო პოლიტიკისადმი, გადაგვაწყვეტინა კონცენტრაცია მოგვეხდინა პოლიტიკასა და ისტორიაზე საბაკალავრო პროგრამის - სამაგისტრო პროგრამის „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში შექმნით“.<br>1. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა შეისწავლონ ამერიკის საგარეო ურთიერთობების წინაშე მდგარი გამოწვევები რაც მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი წარმოადგენს 2001 წლის 10 სექტემბრამდე დღის წესრიგს, როდესაც მსოფლიო უკვე გადიოდა ისტორიულ გარდამავალ ეტაპს, იმყოფებოდა რა ცივი ომის დამთავრების და დიდი მოლოდინების ფაზაში, მიუხედავად იმისა რომ ომის ხანა არ იყო დამთავრებული, თუ მხედველობაში მივიღებთ ბოსნიის, რუანდის და სხვა სერიოზული კონფლიქტების მაგალითებს; ამ ეტაპის შესწავლას მოიცავს გლობალიზაციის გაძლიერება და გავრცელება მსოფლიოში თავისი პროგრესით და პრობლემებით; |

| | |
|---|---|
| | დემოკრატიის მასშტაბების გაფართოვებას და მის წინაშე დამდგარი კონსოლიდაციის და ინსტიტუციონალიზმის გამოწვევებს. ხოლო მეორე ეტაპს, დაწყებულს 2001 წლის 11 სექტემბრიდან, განიხილავენ, როგორც ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგის ტრანსფორმაციას, გამოწვეულს ტერორიზმთან ომის გამოცხადებით;<br>აღჭურვოს კურსდამთავრებული სტრატეგიებით, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას სწორი აქცენტი დასვას საქართველოსა და ევრო-ატლანტიკური პარტნიორების და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობაზე.<br>1.1. აქედან გამომდინარე მოცემული პროგრამის კურსები ასწავლის სტუდენტებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ისეთ მთავარ საკითხებს, თუ რა არის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესი და რომელი პოლიტიკური სტრატეგიები იქნება ამისთვის მისაღები და ხელსაყრელი. ამასთანავე პროგრამის კურსები გააცნობს სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ძირითად საკითხებს - დემოკრატიის განვითარება, თუ რა როლს თამაშობენ და რა გავლენა აქვთ ინსტიტუტებს და მოქმედ პირებს, პრეზიდენტებს, მათ შორის საქართველოსთან მიმართებით; ამერიკის ისტორიის დინამიკას, რეგიონის თავისებურებებს, მულტიკულტურალიზმს ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში ამერიკელ ექსპერტებზე დაყრდნობით.<br>1.2. პროგრამის მეშვეობით სტუდენტები საფუძვლიანად ეცნობიან და იკვლევენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების ფორმირების პროცესებს, რაც მიმართულია სწორი გეგმების დასახვის და მათ განსახორციელებლად ოპტიმალური გზების მოძიებისკენ; საგარეო ურთიერთობების პოლიტიკას, როგორც „არჩევანის პროცესს", რაც ნიშნავს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას პოლიტიკური ინსტიტუტების და ამერიკული პოლიტიკური სისტემის სოციალური გავლენების მეშვეობით, ამავდროულად იაზრებს სწავლის გაღრმავების აუცილებლობას. |
| **სწავლის შედეგები** | პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და განობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას: |

| | |
|---|---|
| | 1. კურსდამთავრებული იღებს ღრმა, სისტემურ ცოდნას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის როლზე ინსტიტუციების და საზოგადოებრივი გავლენების ფორმირების პროცესში;<br>2. მიმოიხილავს და კრიტიკულად აღწერს ამერიკის დემოკრატიის ძირითად პრინციპებს; აანალიზებს საქართველოს ნატოს წამყვან წევრებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საჭიროებას ალიანსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად;<br>3. შეისწავლის და კრიტიკულად აღწერს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით თანასწორობასა და თავისუფლებას შორის დაპირისპირების პროცესებს; აშშ-ს ცალკეული რეგიონების განვითარების თავისებურებების გავლენას ამერიკის მრავალფეროვან კულტურაზე;<br>4. კომპლექსურად შეისწავლის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დინამიკას; პრეზიდენტობის ინსტიტუტის ისტორიის თავისებურებების გავლენას აშშ-ს საგარეო ურთიერთობებზე; დეტალურად ხსნის ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან (EAPC) რეგიონალურ საკითხებზე თანამშრომლობის აუცილებლობას;<br>5. ახდენს საგარეო ურთიერთობების, აშშ-ს ისტორიის, დემოკრატიის პრინციპების, კულტურის, მრავალფეროვანი რეგიონალური თავისებურებების შეჯერებას ინტერდისციპლინარულ რაკურსში და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციას, შედარებას და დასკვნების ჩამოყალიბებას;<br>6. ახდენს საკუთარი აზრის არგუმენტირებას, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირებას;<br>7. შეუძლია არგუმენტაცია და პრობლემების გადაჭრის გზები წარადგინოს ამერიკელ ექსპერტებთან, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; შეუძლია უცხოელ სპეციალისტთან ეფექტიანი კომუნიკაცია, მოუსმინოს ამერიკელის საუბარს და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპისა, ინტონაციისა თუ თემატიკის; სწორად მოახდინოს რეაგირება გაგონილ იმპულსზე და შეასრულოს რთული დავალებები; მოისმინოს აუდიო მასალა, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ საკითხებზე; |

| | |
|---|---|
| | 8. შეუძლია ორთოგრაფიულად და აზრობრივად სწორად დაწეროს ნაშრომი, თხზულება, ესსე; შეუძლია საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ გამოხატვა, კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნის ჩამოყალიბება ზეპირი კომუნიკაციისას და ანალიტიკურ ნაშრომში; დარგობრივი და მაღალი ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, შესაბამისი ტერმინოლოგია) აღჭურვილი ნაშრომის, თხზულების/ესსეს შედგენა;<br>9. ამზადებს ანალიტიკურ მოხსენებებს, ნაშრომს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; შეუძლია უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების დასახვა ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;<br>შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, კერძოდ, გააზრებული აქვს სწავლისა და განვითარების მიმართულებით მუდმივად გაღრმავების აუცილებლობა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა. |

| | |
|---|---|
| | ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br><br>შეფასების სისტემა არის იგივე, (FX) ვერ ჩააბარა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, (F) ჩაიჭრა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. |

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ამას გარდა მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ ექსპერტად საელჩოებში, ამერიკულ ორგანიზაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში,საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში (NATO-ს დეპარტამენტი), საერთაშორისო ორგანიზაციებში (USAID; UN), ორგანიზაციებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ (აშშ, თურქეთი, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამირო), კულტურის დეპარტამენტებში, საზოგადოებრივი მართვის დეპარტამენტებსა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში. |

| სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | საათების განაწილება | | | | | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | | საკონტაქტო | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | |
| | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | ლექცია/კონსულტაცია | Pსემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდა(ა/იბი) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | | | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი (60 ECTS კრედიტი)** | | **60** | **20** | **20** | **20** | | **118** | **78** | **13** | **15** | **223** | **1276** | **1500** | |
| ამერიკის საშინაო პოლიტიკა | სავალდებულო | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| კვლევის მეთოდები | სავალდებულო | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| ამერიკის საგარეო პოლიტიკა | სავალდებულო | | | 10 | | | 29 | 13 | 2 | 2 | 46 | 202 | 250 | 2 |
| საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მომავალი როლი | სავალდებულო | | | 10 | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| ქართულ-ამერიკული ურთიერთობები | სავალდებულო | | | | 10 | | 29 | 13 | 2 | 2 | 46 | 202 | 250 | 2 |
| ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | სავალდებულო | | | | 10 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კომპონენტი** | | **30** | **10** | **10** | **10** | | **45** | **39** | **6** | **6** | **96** | **654** | **750** | |
| საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები | არჩევითი | | | | 10 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| ახალი მედია და ამერიკული საზოგადოება | არჩევითი | | **10** | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| ამერიკის დემოკრატია | არჩევითი | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| საგარეო პოლიტიკის ანალიზი | არჩევითი | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| ამერიკული დახმარება საქართველოსთვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით | არჩევითი | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია | არჩევითი | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები | არჩევითი | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სავალდებულო კვლევითი კომპონენტი** | | | | | | 30 | **30** | | | | **30** | **720** | **750** | 2 |
| სამაგისტრო ნაშრომი | სავალდებულო | | | | | 30 | **30** | | | | **30** | **720** | **750** | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | | **120** | | **193** | **117** | **19** | **21** | **349** | **2650** | **3000** | **20** |

# განათლების ადმინისტრირება

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **განათლების ადმინისტრირება** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში / Master of Education in Education Administration |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 120 ECTS |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | მისცეს სტუდენტს განათლების ადმინისტრირების ღრმა ცოდნა და განათლების ადმინისტრირების მაგისტრის სათანადო კვალიფიკაცია, რათა ისინი გახდნენ ნამდვილი ლიდერები ამ სფეროში და თანამდროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ადმინისტრატორები, რომლებიც დაეხმარებიან საკუთარ ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნის უკეთეს განვითარებას. |

| | | |
|---|---|---|
| | მოამზადოს განათლების ადმინისტრატორი როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებში, ისე განათლების ადმინისტრირების კერძო საკითხებში, ისეთებში, როგოროცაა ლიდერობა განათლებაში და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება განათლების სისტემის მართვაში.<br>სტუდენტებს ჩამოუყალიბდეს არამარტო სათანადო ცოდნა და უნარები, რომლებიც დაეხმარებათ მათ საკუთარ ქვეყანაში ან მის საზღვრებს გარეთ დასაქმებაში, არამედ ავტონომიურობა - საკუთარი ცოდნის გაღრმავების მიზნით სწავლის შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) და დამოუკიდებლად გაგრძელების უნარი.<br>ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იყოს განათლების ადმინისტრირების სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა, მზად არის მათ დამკვიდრებაში წვლილი შეიტანოს. | |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | | |
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება:** | 1. განათლებასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა; განათლების, დარგის ისტორიის, სისტემისა და რეფორმების ღრმა ცოდნა, საზოგადოებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის, პასუხისმგებლობისა და წვლილის გათვითცნობიერება;<br>1. განათლების ადმინისტრირების მიღებული პრინციპებისა და წარმატებული პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განაპირობებს საერთაშორისო სტანდარტების დაწესებას განათლების სფეროს ეფექტური ადმინისტრირების მიზნით;<br>2. იმ ძირითადი სირთულეების / გამოწვევების ცოდნა, რომელსაც ხვდებიან საგანმანათლებლო დაწესებულებები მოსწავლეთა/სტუდენტთა და თანამშრომელთა განვითარების გზაზე ადგილობრივი/ეროვნული საზოგადოებისა და ე. წ. სთეიქჰოლდერების (დაინტერესებული/ჩართული მხარეების) ინტერესების დასაკმაყოფილებლად; |

| | | |
|---|---|---|
| | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** | 3. უნარი ადეკვატურად გამოიყენოს უახლესი თეორიული ცოდნა მუშაობისას, ლიტერატურის ღრმა გაგებით კითხვისას და კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას, ასევე უწყვეტი განათლების პროცესში, რათა წვლილი შეიტანოს პროფესიული პრაქტიკოსების საზოგადოების ჩამოყალიბებაში, იდეებისა და აქტივობების გაზიარების გზით.<br>4. უნარი წვლილი შეიტანოს განათლების მოდერნიზაციაში მისი ადმინისტრირების პრინციპების ცოდნაზე, ლიდერობის, კომუნიკაციური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით;<br>5. უნარი გამოიყენოს შესაბამისი მეთოდები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი) მასალების შეგროვებისას, ინტერპრეტირებისას და წარდგენისას; განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი პროექტების, კვლევის დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების უნარი; |
| | **დასკვნის უნარი:** | 6. შეძლებს უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განათლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით რთული სიტუაციების გაანალიზებას და ინოვაციური დასკვნების გამოტანას. |
| | **კომუნიკაციის უნარი:** | 7. ეფექტური კომუნიკაციის უნარს პროფესიულ გარემოში: ვერბალური (ზეპირი და წერილობითი) უნარი;<br>8. არავერბალური კომუნიკაციისა და კომუნიკაციისას ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარები; |
| | **სწავლის უნარი** | 9. უნარი დამოუკიდებლად გააგრძელოს სწავლა და განახორციელოს კვლევა განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში:<br>10. თვით- და ურთიერთშეფასების უნარი, დამოუკიდებელი სწავლის სტრატეგიული დაგეგმვის უნარი<br>უნარი კვლევის მიზნით შეაგროვოს, გაანალიზოს და წარადგინოს მოპოვებული ინფორმაცია ეფექტურად და ეთიკურად; 11. დაწეროს, |

| | | |
|---|---|---|
| | | გაიზიაროს, და წარადგინოს ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია ცხადად და აკადემიურ სტილში; |
| | **ღირებულებები:** | 12. ეთიკური პროფესიული ნორმებისადმი პატივისცემა, მათ შორის აკადემიური პატიოსნების წესების დაცვა; სხვა კულტურებისადმი პატივისცემა;<br>13. განათლების ჰუმანისტური და დემოკრატიული (სტუდენტზე ორიენტირებული) სწავლების/ამინისტრირების პრინციპებისადმი პატივისცემა; მზაობა მათ დამკვიდრებაში წვლილი შეიტანოს;<br>14. ახალი და ინოვაციური ცოდნისკენ სწრაფვა, მისი პატივისცემა განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში, მზაობა მათ დამკვიდრებაში წვლილი შეიტანოს . |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას: | |

| | |
|---|---|
| | ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br>შეფასების საშუალებები შემდეგია: ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა; საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა; საშინაო დავალება; დისკუსია; ზეპირი გამოკითხვა; წერითი გამოკითხვა; ესე; სემინარი; პრეზენტაცია; შემთხვევის ანალიზი; ანგარიში; ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი; შუალედური და დასკვნითი გამოცდა. შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული |

| | |
|---|---|
| | მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა. |
| **დასაქმების სფერო** | ადმინისტრაციული მუშაკი განათლების სფეროში - საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი. კურსდამთავრებულს შეუძლია იმ სამთავრობო თუ არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმება, რომლებიც მუშაობენ განათლების საკითხებზე. ასევე, არის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა. |

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | | | | | | | საათების განაწილება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | III ს.წ. | | IV ს.წ. | | V ს.წ. | | VI ს.წ. | | საკონტაქტო | | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი | IX სემესტრი | X სემესტრი | XI სემესტრი | XII სემესტრი | ლექცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | | |
| | სასწავლო კომპონენტი | სავალდებულო | | **28** | **30** | **8** | | | | | | | | | | **149** | **107** | **14** | **14** | **284** | **1366** | **1650** |
| 1 | განათლების სფეროს კვლევის მეთოდები | სავალდებულო | 10 | 10 | | | | | | | | | | | | 16 | 27 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | განათლების ადმინისტრირება | სავალდებულო | 9 | 9 | | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 193 | 225 |
| 3 | ხარისხის უზრუნველყოფა განათლებაში | სავალდებულო | 9 | 9 | | | | | | | | | | | | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 178 | 225 |
| 4 | განათლება | სავალდებულო | 8 | | 8 | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 168 | 200 |
| 5 | განათლების ლიდერობა | სავალდებულო | 8 | | 8 | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 168 | 200 |
| 6 | განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა | სავალდებულო | 8 | | 8 | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 168 | 200 |
| 7 | განათლების ფინანსური მენეჯმენტი | სავალდებულო | 6 | | 6 | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 8 | პრაქტიკა | სავალდებულო | 8 | | | 8 | | | | | | | | | | 30 | 0 | 0 | 0 | 30 | 170 | 200 |
| | **სასწავლო კომპონენტი** | **არჩევითი** | | | | **24** | | | | | | | | | | **60** | **52** | **8** | **8** | **128** | **472** | **600** |
| 9 | **განათლების ფსიქოლოგია** | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **10** | **ზრდასრულთა განათლება და ფსიქოლოგია** | | | | | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| **11** | **განათლების ისტორია** | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 12. | შეფასების მეთოდები განათლებაში | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 13 | გლობალური განათლება | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 14 | განათლების სოციოლოგია | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 15 | ადამიანური რესურსების მართვა განათლებაში | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 16 | კულტურა და აკადემიური მიღწევები განათლებაში | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 17 | კურიკულუმისა და სილაბუსის შემუშავება განათლებაში | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | ზოგადი და პროფესიული განათლების ადმინისტრირება და საკანონმდებლო დარეგულირება | არჩევითი | 6 | | | 6 | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 118 | 150 |
| 19 | **სამაგისტრო ნაშრომი** | სავალდებ ულო | 30 | | | | 30 | | | | | | | | | **30** | | | | **30** | **720** | **750** |
| სულ | | | | | | | | | | | | | | | | **239** | **159** | **22** | **22** | **3 442** | **2558** | **3000** |

## ბიზნესისა დმინისტრირება

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **ბიზნესის ადმინისტრირება** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 53 კრედიტი |

| | |
|---|---|
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოცემულ პროგრამაზე სწავლის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. პროგრამის მოთხოვნაა ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით. თუ კანდიდატი ფლობს უცხოური მაგისტრის დიპლომს ან მის ეკვივალენტს, რომელიც სათანადოდ არის აღიარებული შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით, კანდიდატის დიპლომის/მიღებული კრედიტების ნამდვილობა უნდა დადასტურდეს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.<br><br>სადოქტორო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმებს, ასევე დოქტორანტობის კანდიდატის შერჩევის პროცესის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“ დაყრდნობით.<br><br>პროგრამის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს სხვა მისაღებ კრიტერიუმებს, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის რეგლამენტის მიხედვით:<br><br>• ფლობს ინგლისური ენის B2 დონეს. განმცხადებელი, რომელიც ფლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების. წინაპირობად განსაზღვრული შესაბამისი უცხოური ენის დონის საერთაშორისო. სერტიფიკატს, თავისუფლდება უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისგან. პროგრამის. ენის დონის დადგენის მიზნით ჩატარებული გამოცდის დონე განისაზღვრება. „ენობრივი კომპეტენციის დონით“. უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი თუ მას დამთავრებული აქვს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც უცხო ენაში გამოუმუშავა პროგრამაზე დაშვების წინაპირობით განსაზღვრული დონე.<br>• კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 5-გვერდიანი კვლევის გეგმა, რომლის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან შეფასდება შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისიის მიერ, რომელიც შედგება მინიმუმ სამი პირისგან (დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრი პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით) |

•	ტარდება გასაუბრება კვლევითი გეგმის თაობაზე.

პროგრამა ასევე საშუალებას იძლევა განხორციელდეს მობილობა ერთი საგანმანათლებლო ინსტიტუციიდან მეორეში „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების საფუძველზე.

კვლევითი გეგმის შეფასების კრიტერიუმები:

| | **არ არის ასახული** | **უარყოფილია** | **მისაღებია, არსებითი ცვლილებებით** | **მისაღებია, მცირე ცვლილებებით** | **დაშვებულია** |
|---|---|---|---|---|---|
| **სათაური:** არც ძალიან მოკლე, არც ძალიან გრძელი; ადეკვატურად გამოყენებული ტერმინები; სათაური/თემატიკა აქტუალურია | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |
| **მნიშვნელობა და სიახლე:** თემა აქტუალურია, ნაკლებად შესწავლილი; შეიცავს სიახლისა და | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ღირებულების პოტენციალს | | | | | |
| | **თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:** მოცემულია, თუ როგორ შეიძლება კვლევამ გავლენა მოახდინოს დარგზე | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |
| | **ლიტერატურის მიმოხილვა:** წარმოდგენილია ძირითადი კვლევები და მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; წყაროები მოიცავს მინიმუმ 10 მნიშვნელოვან შრომას | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |
| | **საკვლევი კითხვები/ჰიპოთეზა** არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |
| | **კვლევის მეთოდები** არის თემის ადეკვატური და | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კარგად განსაზღვრული | | | | | |
| **აკადემიური და გასაგები ენა** | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |
| **ინტერვიუ/ზეპირი წარდგენა*::** ავლენს თემის კარგ ცოდნას, შეუძლია დაასაბუთოს კვლევის გეგმის ყველა საკითხი | 0 | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| ჯამი: | | | | | 100 |
| გასაუბრებაზე დაიშვება კანდიდატი, რომელიც წინა პუნქტებში დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას; კანდიდატს, რომელმაც დააგროვა 41-50 ქულა, შეუძლია ხელახლა გამოაგზავნოს გაუმჯობესებული ვერსია შესაბამის ვადებში.<br>** დაიშვება კანდიდატი, რომელიც ზეპირი გასაუბრებიდან მინიმუმ 9 ქულას დააგროვებს | | | | | |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს შემდეგი უნარები:<br>1. გაანალიზონ და ჩამოაყალიბონ შესაბამისი საკვლევი კითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამის სფეროებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას; შეიმუშავონ და განახორციელონ კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგიები პრაქტიკაში, რაც მათ საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ ცოდნა თავიანთ სფეროებში.<br>2. გამოიყენონ თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირების თეორიები სხვადასხვა ბიზნეს პრობლემების გასაგებად და გადასაჭრელად, რეკომენდაციების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად.<br>3. გამოავლინონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, რათა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, ნაყოფიერად ითანამშრომლონ საერთაშორისო კვლევით ჯგუფებში და გამოაქვეყნონ სტატიები ინდექსირებულ ჟურნალებში. |

| | | |
|---|---|---|
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება** | 1. ავლენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე უახლესი მოვლენების შესახებ ღრმა და სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;<br>2. აყალიბებს მოსაზრებას ბიზნესის სფეროს თანამედროვე ტენდენციების, შესახებ, რაც საშუალებას აძლევს კრიტიკულად შეაფასოს და დამოუკიდებლად იმუშაოს საკვლევ ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოებზე, მონოგრაფიებზე, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე;<br>3. იაზრებს კრიტიკულ თეორიებს, მეთოდოლოგიას და ცოდნას ფუნდამენტური საკითხების გადასაჭრელად და შეიმუშავებს ახალ მეთოდოლოგიებსა და ცოდნას. |
| | **უნარები** | აანალიზებს და აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით და იღებს გადაწყვეტილებებს აკადემიურ და საქმიან ცხოვრებაში პრობლემების გადაჭრის მიზნით.<br>5. შეიმუშავებს საკუთარ საკვლევ კითხვებს, მოდელებსა და მეთოდოლოგიას და ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას არსებულ პრობლემებზე მსჯელობის მიზნით.<br>6. ატარებს და ზედამხედველობს სხვა სტუდენტების კვლევებს, აჩვენებს პროფესიულ უნარებს და ცოდნას იმ დონეზე, რაც საჭიროა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებზე სწავლებისთვის და სტუდენტის სწავლის შეფასებისთვის. |
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | თანამშრომლობს შესაბამის პირებთან აკადემიური კეთილსინდისირებისა და პროფესიონალიზმის ფარგლებში;<br>8. შესაბამის თემაზე გამოთქვამს საკუთარ შეხედულებებს ბიზნეს საზოგადოებაში, სამეცნიერო თუ პროფესიულ დებატებში დამოუკიდებულად მონაწილეობს და წარადგენს საკუთარი ნაშრომს;<br>9. იცავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს კვლევის ჩატარებისა და განხორციელებისას; |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:<br>შეფასების მიზანია სტუდენტის სწავლის შედეგების ხარისხობრივად განსაზღვრა აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. | |

| | |
|---|---|
| | მოსწავლის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომლის ჯამია 100 ქულა.<br><br>შეფასების სისტემა:<br>დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:<br>A) (A) ფრიადი - 91-100 ქულა;<br>b) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>c) (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>d) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>E) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br><br>უარყოფითი შეფასების ორი ტიპი:<br><br>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 51%.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულების განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br><br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტი მიაღწევს სილაბუსით დადგენილ სასწავლო შედეგებს შემდეგი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით: |

| | |
|---|---|
| | ა) შუალედური და საბოლოო შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მოპოვების შემთხვევაში.<br><br>სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება, თუ მან დააგროვა 41 - 50 ქულა მაქსიმუმ 100 ქულიდან (საბოლოო შეფასებაში) ან არანაკლებ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა საბოლოო შეფასებისთვის განსაზღვრული კომპეტენციის მინიმალური ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაცვით.<br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:<br>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;<br>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;<br>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;<br>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;<br>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;<br>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;<br>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.<br><br>ზემოთ მოყვანილი „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. |

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | დოქტორის ხარისხი, როგორც წესი, აუცილებელია აკადემიური კარიერისთვის ან/და სამთავრობო უწყებებში დასაქმებისათვის.<br>უფრო დეტალურად, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროება:<br>● უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სასწავლო პროცესის წარმატებული განვითარების უზრუნველსაყოფად;<br>● სამეცნიერო დაწესებულებები (კერძოდ: ისეთ საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც კვლევითი ინსტიტუტები ბიზნეს გარემოში);<br>● საჯარო და კერძო ბიზნეს კომპანიები;<br>● როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს ექსპერტები.<br>● სახელმწიფო უწყებები; |

| # | კურსი / მოდული / სტაჟირება / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების ნომერი | კრედიტების განაწილება კურსების და სემესტრების მიხედვით | | | | | | | | | | საათების განაწილება | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | საკონტაქტო საათები | | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | საათების საერთო რაოდენობა |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | ლექცია | სემინარი / ჯგუფური მუშაობა / | შუალედური | დასკვნითი | საკონტაქტო საათების საერთო რაო | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | დენ ობა | | |
| I | **სავალდებულო/არჩევითი კურსები ( სასწავლო კომპონენტი)** | | **43 კრედიტი** | | | | | | | | | | | | | |
| 1 | უმაღლესი განათლების პედაგოგიკა ბიზნესისა და ტექნოლოგიებისთვის | **სავალდებულო** | **5** | ☑ | | | | | | 8 | 20 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2 | მულტიფუნქციური მონაცემთა ანალიზი | **სავალდებულო** | **10** | ☑ | | | | | | 11 | 31 | 2 | 2 | 46 | 204 | 250 |
| 3 | კვლევის მეთოდოლოგია | **სავალდებულო** | **8** | ☑ | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 168 | 200 |
| 4 | გამოყენებითი ეკონომეტრიკა | **სავალდებულო** | **5** | | ☑ | | | | | 11 | 17 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 5 | სადოქტორო სემინარი | **სავალდებულო** | **10** | | ☑ | | | | | - | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 6 | პროფესორის ასისტენტობა | **სავალდებულო** | **5** | | ☑ | | | | | 32 | - | - | - | 32 | 93 | 125 |
| II | **არჩევითი კურსები** | | **10 კრედიტი** | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ორგანიზაციული თეორია | **არჩევითი** | **10** | | ☑ | | | | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 3 | მომხმარებელთა ქცევის თეორია | **არჩევითი** | **10** | | ☑ | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | უმაღლესი დონის კორპორატიული ფინანსები | არჩევითი | 10 | | ☑ | | | | | 12 | 16 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| III | კვლევითი კომპონენტი – სადოქტორო დისერტაცია | სავალდებულო | | | | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | | | | | | | |
| ჯამი | | | 53 | 23 | 30 | | | | | | | | | | | |

# კომპიუტერული მეცნიერებები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **კომპიუტერული მეცნიერება** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი /Doctor of Computer Science |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 60 კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებაში ან მონათესავე დარგში. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა იბსუ-ში. ასევე საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, |

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატმა უნდა წარადგინოს საკვლევი თემის პროექტი მისი სამომავლო კვლევის სფეროში, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოცემული რუბრიკის მიხედვით ადასტურებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია და გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.

საკვლევი თემის და პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

| შეფასების კრიტერიუმები | არ შეესაბამება | არადამაკმაყო ფილებელი | დამაკმაყოფი ლებელი (არსებითი | დამაკმაყოფი ლებელი (უმნიშვნელო | დამაკმაყოფი ლებელი / |
|---|---|---|---|---|---|
| | 0 | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 |
| **სათაური: არც ზედმეტად კონკრეტული და არც ზედმეტად ზოგადი; ტერმინები ადეკვატურადაა გამოყენებული; ჟღერს თანამედროვედ.** | [ | [ | [ | [ | [ |
| **აქტუალობა და სიახლე: თემა თანამედროვეა, ნაკლებად შესწავლილი; სიახლისა და** | [ | [ | [ | [ | [ |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აქტუალობის პოტენციალი წარმოდგენილია | | | | | | |
| | | თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: წარმოდგენილია თუ რა გავლენა ექნება კვლევას დარგზე | [ | [ | [ | [ | [ | |
| | | ლიტერატურის მიმოხილვა: წარდგენილია ძირითადი მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; ლიტერატურის სია მოიცავს სულ ცოტა 10 მნიშვნელოვან დასახელებას | [ | [ | [ | [ | [ | |
| | | საკვლევი კითხვები / ჰიპოთეზა არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული | [ | [ | [ | [ | [ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კვლევის მეთოდები შეესაბამება თემას და კარგად არის განსაზღვრული | [ | [ | [ | [ | [ |
| ენობრივი კომპეტენცია | [ | [ | [ | [ | [ |
| პუნქტობრივი ჯამური შეფასება | [ | [ | [ | [ | [ |
| საბოლოო შეფასება | [ | | | | |

მოთხოვნები შემდეგი ეტაპისათვის:

კანდიდატი, რომელიც მიიღებს სულ ცოტა 51 ქულას (84 ქულიდან) წინა კრიტერიუმების მიხედვით, დაიშვება ინტერვიუზე/ზეპირ პრეზენტაციაზე;

| ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია: კანდიდატი ახდენს თემის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას, შეუძლია დაასაბუთოს კვლევის გეგმის ნებისმიერი საკითხი | არ შეესაბამება | არადამაკმაყოფილებელი | დამაკმაყოფილებელი (არსებითი | დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო | დამაკმაყოფილებელი / |
|---|---|---|---|---|---|
| | 0 | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| | [ | [ | [ | [ | [ |

| | |
|---|---|
| | კანდიდატი, რომელიც ინტერვიუში/ზეპირ პრეზენტაციაში მოაგროვებს სულ ცოტა 9 ქულას, შეიძლება მიღებულ იქნას პროგრამაზე. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | კომპიუტერულ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამის მიზანია<br>(1) კომპიუტერული მეცნიერების დარგში აკადემიური და სამეცნიერო კარიერისთვის მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს კომპიუტერული მეცნიერებების სამი მიმართულება: თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, სისტემების დიზაინი და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი. სადოქტორო პროგრამა შექმნილია ისე, რომ გაითვალისწინოს ცალკეული სტუდენტის ინტერესი, რაც ნიშნავს დოქტორანტურაში სწავლისას სტუდენტმა გამორჩეული და მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს სულ მცირე ერთი მიმართულების შესწავლასა და განვითარებაში.<br>(2) კომპიუტერული მეცნიერებების დარგში დოქტორანტის ინდუსტრიისთვის მომზადება; რაც ნიშნავს, დოქტორანტს განუვითაროს ინდუსტრიიდან მომავალი კომპლექსური პრობლემების ფორმულირების, ანალიზის და მათი გადაჭრის უნარი; ასევე, კომპიუტერული სისტემების მეშვეობით, ინდუსტრიული პრობლემების მოდელირებისა და რეალიზაციის უნარები.<br>(3) დოქტორანტს გამოუმუშაოს ბაზარზე წარმატებული კარიერისთვის აუცილებელი უნარ–ჩვევები, გახადოს ის ინტერდისციპლინარული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძებნაზე ორიენტირებული, გაუუმჯობესოს ხედვა აკადემიური, სამეცნიერო და ინდუსტრიული სამუშაოსადმი პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის გააზრებაში. |
| **სწავლის შედეგები** | 1. კრიტიკული გააზრების საფუძველზე სისტემურად განიხილავს კომპიუტერული მეცნიერების დარგს;<br>2. აღწერს კომპიუტერული მეცნიერების ქვედარგებში (თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, სისტემების დიზაინი და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი) მიმდინარე კვლევებსა და გამოწვევებს; |

| | |
|---|---|
| | 3. კრიტიკულად აფასებს რთული სამეცნიერო კვლევითი პრობლემის გადაჭრის და გაუმჯობესების დაგეგმვის გზებს;<br>4. ამზადებს საპროექტო წინადადებებას, მიღებული სამეცნიერო შედეგების მიხედვით პუბლიკაციასა და მოხსენებას;<br>5. კომპიუტერული სისტემების გამოყენების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის გზით ახდენს რეალური სამყაროს პრობლემების მოდელირებას;<br>6. წარმართავს სამეცნიერო კვლევებს, სამეცნიერო ნაშრომებისა და დისერტაციების რეცენზირების პროცესს და წარმოადგენს მიღებული სამეცნიერო პროდუქტის ამსახველ სტატიას რეფერირებად მაღალრეიტინგულ ჟურნალში და კონფერენციის მასალებში.<br>7. გეგმავს სალექციო პროცესს, საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევებს კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა დარგში.<br>8. აანალიზებს კვლევის, რეცენზირების, ტექნოლოგიების შექმნის და გამოყენების პოტენციურ ეთიკურ და სოციალურ შედეგებს.<br>9. აჯამებს კომპიუტერული მეცნიერების დარგის ექსპერტების მიღწევებს, დარგის სპეციალისტის თვალთახედვით. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალურიშეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>ა) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;<br>ბ) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;<br>გ) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;<br>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა; |

| | |
|---|---|
| | ე) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასების სახით. აღნიშნული მოიცავს განმავითარებელი შეფასების ეტაპს (ექსპერტების შეფასება და წინა დაცვაზე წარდგენა) და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. |

| | |
|---|---|
| | დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ეტაპის გავლა და დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა.<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:<br>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;<br>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;<br>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;<br>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;<br>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;<br>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;<br>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.<br><br>ზემოთ მოყვანილი „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. |

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მოამზადებს საერთაშორისო დონის შესაბამის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები, მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კერძოდ, კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მკვლევარის პოზიცია სამეცნიერო განყოფილებაში, აკადემიური პოზიცია სასწავლო დაწესებულებაში და წამყვანი სპეციალისტის პოზიცია ინდუსტრიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით. |

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | | | საათების განაწილება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | III ს.წ. | | IV ს.წ. | | | საკონტაქტო | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი | ლექცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | უმაღლესი განათლების პედაგოგიკა ტექნოლოგიებსა და ბიზნესში | სავალდებულო | **5** | **5** | | | | | | | | 8 | 20 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2 | კვლევის მეთოდოლოგია | სავალდებულო | **10** | **10** | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 3 | დოქტორანტურის სემინარი I | სავალდებულო | **5** | **5** | | | | | | | | 0 | 14 | 0 | 2 | 16 | 109 | 125 |
| 4 | დოქტორანტურის სემინარი II | სავალდებულო | **5** | | **5** | | | | | | | 0 | 14 | 0 | 2 | 16 | 109 | 125 |
| 5 | პროფესორის ასისტირება | სავალდებულო | **5** | | **5** | | | | | | | 0 | 30 | 0 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 6 | სადოქტორო ნაშრომი | სავალდებულო | | | | √ | √ | √ | √ | | | | 112 | | | 112 | 2888 | 3000 |
| 7 | კიბერ-ფიზიკური სისტემები | არჩევითი | 10 | 10 | | | | | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 204 | 250 |
| 8 | ვეივლეტების თეორია | არჩევითი | 10 | 10 | | | | | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 204 | 250 |
| 9 | გამოთვლითი აზროვნება მოდელირებისა და სიმულაციისთვის | არჩევითი | 10 | 10 | | | | | | | | 14 | 28 | 2 | 2 | 46 | 204 | 250 |
| 10 | ავტომატური მტკიცებები | არჩევითი | 10 | 10 | | | | | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 204 | 250 |
| 11 | ნივთების ინტერნეტი (IoT) | არჩევითი | 10 | 10 | | | | | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 204 | 250 |
| 12 | წვდომის კონტროლის მოდელები | არჩევითი | 10 | | 10 | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 13 | ბლოკჩეინი და კიბერუსაფრთხოება | არჩევითი | 10 | | 10 | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 14 | დისკრეტული ოპტიმიზაციის ალგორითმები | არჩევითი | 10 | | 10 | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 15 | გადაწერის თეორია | არჩევითი | 10 | | 10 | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| 16 | სახეთა ამოცნობის აპლიკაციები | არჩევითი | 10 | | 10 | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ*** | | 60 | 30 | 30 | | | | | | | | | | | | | |

# ამერიკისმცოდნეობა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **ამერიკისმცოდნეობა** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | ამერიკისმცოდნეობის დოქტორი (Doctor of American Studies) |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 60 კრედიტი |

| | |
|---|---|
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შზსუ-ში. საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ კვლევის გეგმა, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოტანილი რუბრიკის მიხედვით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისიადა გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.<br>თუ სერტიფიკატით/გამოცდით არ დასტურდება ინგლისური ენის ცოდნის C1 დონე, მაგრამ კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეიძლება შეფასდეს როგორც უფრო მაღალი ვიდრე B2 დონე და კანდიდატი ამჟღავნებს ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს კვლევის გეგმის განხილვისას, რომლის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისია, როგორც გამონაკლისი, კანდიდატს შეიძლება მიეცეს უფლება კომისიის წინაშე გაიაროს ზეპირი ინტერვიუ ინგლისურ ენაში და დადებითი შეფასების შემთხვევაში დაშვებული იქნას პროგრამაზე.<br>ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობაა არაუმეტეს 12. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული და ამავდროულად ინტერდისციპლინარული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საშუალება შეისწავლოს და გააანალიზოს ამერიკული საზოგადოების სხვადასხვა ასპექტები ეთნოსის დინამიკის, ემიგრაციის, პოლიტიკისა და ლიტერატურის კუთხით; ამ სფეროს უნიკალური სპეციფიკით და ინტერაქტიული მეთოდების მეშვეობით პროგრამა ჩამოუყალიბებს სტუდენტს ანალიტიკურ აზროვნებას, კრიტიკული ანალიზის ჩვევას სხვადასხვა კონტექსტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მთელ მსოფლიოს და რა თქმა უნდა საქართველოს აინტერესებს ზესახელმწიფოსთან მიმართებაში. |

| | | |
|---|---|---|
| | პროგრამა მიზნად ისახავს განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, ისაუბროს, დაწეროს სადოქტორო დისერტაცია ეფექტურად და კრეატიულად; განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა; კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღების უნარები, პასუხისმგებლობა და მეცნიერული თვითგანათლების უნარი;<br>შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა სამეცნიერო აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: უნივერსიტეტები, საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისები, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატი, კულტურის დეპარტამენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, მუზეუმები, არქივი, სადაც დანერგავენ მეცნიერულად დაფუძნებულ სიახლეებს.<br>პროგრამა პასუხობს ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებს: 1. დოქტორანტები არიან აშშ-დან და ევროპიდან; 2. 2010 წლიდან ამერიკელი პროფესორები ინიშნებიან დოქტორანტების ოპონენტებად; 3. 2017 წლიდან დოქტორანტებს ენიშნებათ დამატებით ამერიკელი თანახელმძღვანელები; 4. ამერიკელი პროფესორები კითხულობენ პროგრამის კურსებს: ა) XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია; ბ) XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა. | |
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება** | კურსდამთავრებულს ექნება:<br>● ამერიკის მულტიკულტურალიზმის, ემიგრაციის, ისტორიის, XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის, XX საუკუნის ლიტერატურული მიმდინარეობების ღრმა ცოდნა;<br>● მულტიკულტურალიზმის, პოლიტიკის, ლიტერატურული ტერმინებისა და ასევე თეორიების ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად იმუშაოს საკვლევ ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოებზე, მონოგრაფიებზე, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე;<br>● ამერიკისმცოდნეობის როგორც ინტერდისციპლინარული დარგის მსოფლიოში გავრცელებული უახლესი ტენდენციების ცოდნა; |

| | | |
|---|---|---|
| | | ● დასავლური ღირებულებების ცოდნა, რაც ეხმარება მეცნიერული შეფასებების გაკეთებაში;<br><br>სტუდენტი გააცნობიერებს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებული დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ტოლერანტობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ. |
| | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>● შეარჩიოს კვლევის თანამედროვე თემა ამერიკისმცოდნეობაში, ამ თემის ირგვლივ განახორციელოს ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, დასვას პრობლემური კითხვები, შეარჩიოს კვლევის ადეკვატური მეთოდები და შეიმუშაოს ჰიპოთეზა, შემდეგ კი შეამოწმოს მისი ნამდვილობა;<br>● სტუდენტს შეუძლია მულტიდისციპლინარული საგნებიდან შერჩეული თემის კვლევის განხორციელებისას მიღებული შედეგი მოამზადოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის სახით პუბლიკაციისათვის;<br>● მოამზადოს ანალიტიკური საკონფერენციო მოხსენებები ამერიკის მულტიკულტურალიზმის, პოლიტიკისა და ლიტერატურის საკითხებზე. |
| | **დასკვნის უნარი** | კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>● განახორციელოს ამერიკისმცოდნეობის სფეროსათვის დამახასიათებელი წაკითხული სამეცნიერო ლიტერატურის, მას-მედიიდან მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების გადაჭრა;<br>● გაავლოს პარალელები მშობლიურ და უცხო კულტურებს შორის, იპოვოს განსხვავებები და მსგავსებები და გააკეთოს სათანადო დასკვნები; |

| | | |
|---|---|---|
| | | ● გამოიყენოს მიღებული ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული თეორიული ცოდნა ანალიზისათვის, შეიმუშაოს საკუთარი კვლევითი პლატფორმა (ანკეტები, ინტერვიუს საკითხები), თემის ფარგლებში ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორცილება, შედეგების ინტერპრეტაცია. |
| | **კომუნიკაციის უნარი** | კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>● ამერიკისმცოდნეობის უახლეს თემატიკაზე აწარმოოს როგორც წერითი, ასევე ვერბალური კომუნიკაცია;<br>● სხვა კულტურის წარმომადგენლებს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და დაამყაროს კომუნიკაცია;<br>● მიიღოს მონაწილეობა დებატებში და დისკუსიებში, კულტურათა დიალოგში;<br>● წარადგინოს საკუთარი სამეცნიერო ნაშრომი პრეზენაციის სახით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე კონფერენციაზე და დისერტაციის დაცვისას, გასცეს პასუხი დაინტერესებულ პირებს, მოახდინოს პროფესიული წერილობითი ურთიერთობა;<br>● საკუთარი აზრის ეფექტურად მიტანა მსმენელამდე, მისი წარმოდგენა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. |
| | **სწავლის უნარი** | კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>● საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად დაგეგმვა; მისი დამოუკიდებლად განხორციელება და პროცესის მონიტორინგის წარმოება;<br>● სწორი მიმართულებებით განსაზღვროს სწავლის პრიორიტეტები და კვლევის პროცესი. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით. | |

| | |
|---|---|
| | სასწავლო კომპონენტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br><br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; |

| | |
|---|---|
| | ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:<br>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;<br>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;<br>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;<br>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;<br>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;<br>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;<br>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.<br><br>ზემოთ მოყვანილი „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული |

| | |
|---|---|
| | სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. |
| **დასაქმების სფერო** | სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს:<br>● ლექტორად უმაღლეს სასწავლებლებში; სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში,<br>● საჯარო სამსახურში: საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო ურთიერთობების კომიტეტებში, ნატოს დეპარტამენტში,<br>ამერიკის საელჩოში, ამერიკულ და სხვა უცხოურ ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში. |

| № | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | საათების განაწილება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ | | III ს.წ | | საკონტაქტო | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | ლექცია/კონსულტაცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ | შუალედური | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **I** | **სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი** | **სავალდებულო** | **50** | **30** | **20** | **30** | **30** | **30** | **30** | **70** | **66** | **11** | **11** | **163** | **1087** | **1250** | **8** |
| **1** | უმაღლესი განათლების პედაგოგიკა | სავალდებულო | | 10 | | | | | | 8 | 20 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| **2** | კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური | სავალდებულო | | 10 | | | | | | 15 | 13 | 3 | 3 | 32 | 218 | 250 | 2 |
| **3** | XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია | სავალდებულო | | 10 | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| **4** | ამერიკული ეთნოსი | სავალდებულო | | | 10 | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| **5** | სემინარი ამერიკისმცოდნეობაში | სავალდებულო | | | 10 | | | | | 5 | 0 | 2 | 2 | 5 | 241 | 250 | 5 საათი გადანაწილებულია 15 კვირის განმავლობაში |
| **II** | **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კომპონენტი** | **არჩევითი** | **10** | | **10** | | | | | **15** | **13** | **2** | **2** | **32** | **218** | **250** | **2** |
| **7** | XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა * | არჩევითი | | | 10 | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 | 2 |
| **8** | პროფესორის ასისტირება ** | არჩევითი | | | 10 | | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 250 | 250 | 2 |
| **სულ** | | | **60** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **90** | **199** | **13** | **13** | **195** | **1305** | **1500** | **18** |
| **III** | **სავალდებულო კვლევითი კომპონენტი** | **სავალდებულო** | | | | | | | | | | | | | | | |

# განათლების მეცნიერებები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **განათლების მეცნიერებები** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | განათლების მეცნიერებების დოქტორი/ Doctor of Education Sciences |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 60 კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.<br>**წინარე განათლება**<br>პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი განათლებაში, ფსიქოლოგიაში, ან ფილოლოგიის დარგში ან/და კანდიდატს შესაძლოა დასრულებული ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60 კრედიტიანი პროგრამა.<br>**სამუშაო გამოცდილება**<br>კანდიდატს უნდა ჰქონდეს განათლების სფეროში მუშაობისა ან/და სწავლების მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება.<br>**სამეცნიერო/კვლევითი გამოცდილება** |

| | |
|---|---|
| | კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დარგში გამოქვეყნებული ერთი სტატია სამეცნიერო ჟურნალში ან საკონფერენციო მასალებში. სტატია უნდა იყოს ინგლისურენოვანი.<br>**ენობრივი მოთხოვნები**<br>კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით, რომელიც უნდა დასტურდებოდეს საერთაშორისო სერთიფიკატით (FCE (A grade), CAE, IELTS-7.0, TOEFL iBT-95, CERTUS, ა.შ. ) ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით.<br>**კვლევის გეგმა**<br>კანდიდატმა უნდა წარადგინოს კვლევის გეგმის მონახაზი, რომლის მიზანია კანდიდატის კვლევითი პოტენციალის შეფასება. წერილობით წარმოდგენილ კვლევის გეგმას აფასებს სადისერტაციო საბჭო.<br>კვლევითი გეგმის შეფასების კრიტერიუმები<br>სათაური: სათაური შეესაბამება თემას, შეიცავს კონკრეტულ ცვლადებს, არის კონკრეტული და თანამედროვე<br>აქტუალობა და სიახლე: თემა თანამედროვეა, ნაკლებად შესწავლილი; სიახლისა და აქტუალობის პოტენციალი წარმოდგენილია<br>თეორიული და პრაქტუკული ღირებულება: ნაჩვენებია, თუ რა გავლენა ექნება კვლევას დარგზე;<br>ლიტერატურის მიმოხილვა: წარდგენილია ძირითადი მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; ლიტერატურის სია მოიცავს სულ ცოტა 10 მნიშვნელოვან დასახელებას<br>საკვლევი კითხვები / ჰიპოთეზა არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული<br>კვლევის მეთოდები შეესაბამება თემას და კარგად არის განსაზღვრული<br>ენობრივი აკადემიურობა და გამართულობა<br>ზემოთ მოცემული 7 კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: მისაღები- 3 ქულა, მისაღები, მცირე ცვლილებებით- 2 ქულა, მისაღები, მაგრამ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს- 1 ქულა, მიუღებელი- 0 ქულა. მაქსიმუმი შეფასება არის 21 ქულა. კანდიდატს სჭირდება მინიმუმ 11 ქულა რომ გადავიდეს შემდგომ ეტაპზე.<br>ინტერვიუ |

| | | |
|---|---|---|
| | კანდიდატი ზეპირი პრეზენტაციით წარსდგება სადისერტაციო საბჭოს წინაშე რომ დაასაბუთოს წარმოდგენილი კვლევის გეგმის ნებისმიერი საკითხი.<br>**ინტერვიუ/ ზეპირი პრეზენტაციის** დროს კანდიდატი ავლენს თემის ღრმა ცოდნას. ინტერვიუს შეფასების კრიტერიუმები არის შემდეგი: საუკეთესო- 3 ქულა, კარგი- 2 ქულა, დამაკმაყოფილებელი - 1 ქულა, არადამაკმაყოფილებელი - 0 ქულა. ინტერვიუზე კანდიდატის მიერ მინიმუმ 1 ქულის მოპოვება ჩაითვლება დადებითად. | |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::** | განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს განათლების სფეროს პროფესიონალები, რომლებიც ფლობენ მრავალმხრივ უნარებს: განათლების თეორიების სიღრმისეული ცოდნა- გააზრება, კრიტიკული ანალიზის უნარის გამოყენებით პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, მიღებული შედეგების პროფესიული საზოგადოებისთვის გაცნობა, თანამედროვე ცოდნის სტუდენტებისთვის მიწოდება (შეფასება და დაგეგმვა სასწავლო პროცესში); სიღრმისეული და აქტიური კვლევა განათლების მიმართულებით, მუდმივი პროფესიული განვითარება, კვლევების ხელმძღვანელობა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; სტუდენტზე ორიენტირებული, ჰუმანისტური გარემოს შექმნა; მეცნიერულად-დაფუძნებული ინოვაციების შემუშავება, კვლევაზე დაფუძნებული ახალი ცოდნის შექმა და გაზიარება პროფესიული საზოგადოებისთვის. | |
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება:** | 1. განათლების მეცნიერებებთან დაკავშირებული თეორიების, პრინციპებისა და პრაქტიკის ისეთი ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;<br>2. განათლების დარგში გამოყენებული კვლევის მეთოდების ისეთი ცოდნა, რომელიც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებელ სტატიას, კვლევით პროექტსა და დისერტაციას უდევს საფუძვლად. |

| | | |
|---|---|---|
| | **უნარები:** | 3. დაგეგმოს და განხორციელოს განათლების დარგის კვლევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით;<br>4. შეიმუშაოს საკუთარი კვლევითი პლატფორმა (ანკეტები, ინტერვიუს საკითხები, ცოდნის შესაფასებელი ტესტები), დაგეგმოს და განახორციელოს ექსპერიმენტი განათლების სფეროში, მოახდინოს მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);<br>5. შეარჩიოს განათლების მეცნიერებების ამა თუ იმ ასპექტის კვლევის (სტატიის, პროექტის, დისერტაციის) თანამედროვე თემა, ამ თემის გათვალისწინებით განახორციელოს რელევანტური კვლევითი ლიტერატურის მოძიება და კრიტიკული ანალიზი, დასვას პრობლემური კითხვები, შეარჩიოს კვლევის ადეკვატური მეთოდები და შეიმუშაოს ჰიპოთეზა, შემდეგ კი შეამოწმოს მისი ნამდვილობა, მოახდინოს მიღებული სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაცია, გადაჭრას გაანალიზებული პრობლემა. მოამზადოს საგანმანათლებლო კვლევის მიღებული შედეგები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციისათვის, ასევე წარუდგინოს კოლეგებს და ფართო საზოგადოებას საკუთარი კვლევა პრეზენტაციის სახით;<br>6. დანერგოს ინოვაცია განათლების სფეროში, ახლებურად გადაჭრას განათლებასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემები, შექმნას ახალი ცოდნა;<br>7. პროფესიულ თემატიკაზე ცხადად და აკადემიურად განახორციელოს კომუნიკაცია, მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში |

| | | |
|---|---|---|
| | | საერთაშორისო და ადგილობრივ პროფესიულ და ფართო საზოგადოებასთან. |
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** | 8. აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში შეიმუშაოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული განათლების სფეროს კვლევითი პროექტები და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br><br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი | |

| | |
|---|---|
| | შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრი: შუალედური შეფასების 50% და დასკვნითი შეფასების 50%.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური (50%) და დასკვნითი (50%) შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br><br>შეფასების 1-6 კრიტერიუმი მოიცავს როგორც დისერტაციას, ისე პუბლიკაციებს. დეტალური რუბრიკები წარმოდგენილია სილაბუსებში.<br>დისერტაციის შეფასება საბოლოოდ მოხდება შემდეგი ტერმინების გამოყენებით:<br>ა) ფრიადი(summa cum laude) – 91-100 ქულა, შესანიშნავი ნაშრომი;<br>ბ) ძალიან კარგი(magna cum laude) – 81-90 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;<br>გ) კარგი(cum laude) – 71-80 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;<br>დ) საშუალო (bene) – 61-70 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;<br>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – 51-60 ქულა, შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; |

| | |
|---|---|
| | ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – 41-50 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;<br>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – 40 ქულა ან ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.<br>ზემოთ მოყვანილი„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. |
| **დასაქმების სფერო** | კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ სამთავრობო და არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და იყვნენ მკვლევარები განათლების მეცნიერებებში. ასევე, მათ შეუძლიათ იმუშაონ უმაღლესი განათლების დაწესებულებაში აკადემიურ ან/და ადმინისტრაციულ პერსონალად. |

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / | სტატუსი | კრედიტების | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | | | | საათების განაწილება | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | II ს.წ. | III ს.წ. | IV ს.წ. | V ს.წ. | VI ს.წ. | საკონტაქტო | | | | | |

| | კვლევითი კომპონენტი | | რაოდენობა | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი | IX სემესტრი | X სემესტრი | XI სემესტრი | XII სემესტრი | ლექცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სასწავლო კომპონენტი** | **სავალდებულო** | **50** | **29** | **21** | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | სადოქტორო კვლევაში გამოყენებული მეთოდები | სავალდებულო | 8 | X | | | | | | | | | | | | 15 | 28 | 2 | 3 | 48 | 152 | 200 |
| 2 | დიდაქტიკა და განათლების ფსიქოლოგია | სავალდებულო | 7 | X | | | | | | | | | | | | 8 | 20 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |
| 3 | პედაგოგიური სოციოლოგია | სავ. | 7 | X | | | | | | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |
| 4 | განათლების ტექნოლოგიები | სავალდებულო | 7 | X | | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | განათლების ფილოსოფია და რეფორმა | სავალდებულო | 7 | | X | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |
| 6 | სემინარი სტატიებისა და დისერტაციის დაწერაში | სავალდებულო | 7 | | x | | | | | | | | | | | 0 | 28 | 2 | 2 | 32 | 143 | 175 |
| 7 | სწავლა-სწავლების ინოვაციების დანერგვა | სავალდებულო | 7 | | x | | | | | | | | | | | 14 | 14 | 2 | 3 | 33 | 142 | 175 |
| | **სასწავლო კომპონენტი** | არჩევითი | 10 | | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | განათლების სამართლებრივი რეგულირება | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2 | კურიკულუმის, სილაბუსისა და კურსის შემუშავება | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 3 | პროფესორის ასისტირება | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 0 | 30 | 0 | 2 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | გამოყენებითი ლინგვისტიკა | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 5 | სოციოლინგვისტიკა | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 6 | აკადემიური წერა განათლების მეცნიერებებისათვის | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 7 | უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და ადმინისტრირება | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 8 | ლიდერობა განათლებაში | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 9 | ინგლისური ენის სწავლება სპეციალური მიზნებისთვის | არჩევითი | 5 | | x | | | | | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| **სულ** | | | **60** | **29** | **31** | | | | | | | | | | | **110** | **157** | **18** | **20** | **305** | **1195** | **1500** |